გული არასდროს ბერდება

(ანუ არა -ახალგაზრდობა, არამედ რაღაც სხვა)

- გული არასდროს ბერდება,- თქვა მოსამართლემ და განაჩენის გამოტანის ნიშნად ჩაქუჩი დაჰკრა. დარბაზი მოულოდნელობისგან შეხტა. ოცი საუკუნის განმავლობაში გაოცებისგან პირი
არ მოუხურავს, არც კარი, შუბლი არ გაუხსნია და თვალი არ დაუხუჭავს.
მსჯავრდებული ითხოვს თოკს. ადვოკატი დუმს. მამალი იწყებს უდროოდ ყივილს. მომჩივანის დედა იწერს პირჯვარს და ღმერთს მადლობას სწირავს. დაზარალებული სირცხვილისგან იწვის...

ნაფიც მსაჯულებს აკლიათ ერთი - სხედან თერთმეტნი. ერთმანეთს დაბნეული უმზერენ და ეძებენ დარბაზში მეთორმეტეს.

დამსწრეთაგანი ყოველი მეთორმეტეა და არავინ იმჩნევს.

პროკურორი იფშვნეტს ხელებს-კმაყოფილია მოსალოდნელი შედეგით. სწუხს მხოლოდ მამა - მისი ყველა შვილი ცოდვილია.

ღია კარით სარგებლობენ მეხანძრეები და ხანძრის ჩასაქრობად ემზადებიან.

ჩააქრეს სირცხვილი.

-თქვით უკანასკნელი სიტყვა და მოითხოვეთ უკანასკნელი ქმედების უფლება,- თქვა მოსამართლემ და შავი მანტია შეისწორა მხრებზე. დაზარალებულმა და ბრალდებულმა გახედეს ერთმანეთს - მათ სხვა მხრები გაახსენდათ...

დარბაზში მსხდომთაგან მოულოდნელად წამოდგა ბავშვი. მოსამართლისკენ აიღო გეზი. თვალცრემლიანი გაიქცა. მცველებმა დააკავეს. იყვირა, ოცდაათ ვერცხლად მეც კი გავყიდდიო და ხმა ჩაუწყდა. დარბაზმა შეიცხადა. ხმამაღლა დასწყევლა გაქცეული და ჩუმად თავისი ჯიბისაკენ წაიღო მზერა.

მსჯავრდებულს ეცა ელდა და თქვა:

-დამლახვროს ღმერთმა!- და ითხოვს ამბორს.

ბორკილებს ხსნიან. ემაზდებიან საკაცობრიო მოვლენისათვის.

მიჰყავთ ქრისტესთან. კვლავ ნაწყენია, მეგობრისაგან ვერ მოითმინა სიცოცხლით ლხენა.

რა ექნა საწყალს?! როგორღაც უნდა ერჩინა დედა...

-შეგინდოს ღმერთმა!- და მოამბორეს იესო ღმერთმა გულს სცა მახვილი.

მაშ, როგორია, ეცოცხლათ ერთად?!

იუდას გული,- უბერებელი, მარადიული, სიცოცხლმისჯილი,- დაიმსხვრა, დედავ?!